საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბათუმის გემთსაშენი ქარხანა

ბათუმის გემთსაშენი ქარხანა, დაარსდა 1921 ბათუმის ნავსადგურის დამხმარე საწარმოს ბაზაზე, როგორც გემების მიმდინარე შეკეთების სახელოსნო.

1940-მდე აქ არემონტებდნენ ბათუმის საზღვაო ნავსადგურისა და შავი ზღვის სანაოსნოს გემებს, II მსოფლიო ომის წლებში კი – შავი ზღვის ფლოტის გემებს.

1942 ჩატარდა სახელოსნოს რეკონსტრუქცია. 1943 სახელოსნოს ბაზაზე შეიქმნა გემთშემკეთებელი ქ-ნა.

1952-იდან დაიწყეს სასეირნო საზღვაო კატარღებისა და გემების მშენებლობა. 1957 გადაკეთდა გემთსაშენ ქ-ნად. ბ. გ. ქ-შია აშენებული გემები: „არკადია“, „მაგნოლია“, „ჟემჩუჟინა“, 40-ადგილიანი პლასტმასის კატარღა და სხვ.

1959-იდან ქ-ნაში დაიწყეს 6-ადგილიანი სასეირნო წყალქვეშაფრთიანი კატარღების წარმოება, 1967-იდან – მაშველი ბორნების, 1975-იდან – „აისტის“, 1978-იდან – „გრიფის“, 1983-იდან – „გურზუფის“ აგება. ქ-ნა უშვებდა 4-იდან 50 ტ-მდე წყალწყვის კატარღებს.

2002 ქ-ნა ჩამოყალიბდა როგორც შპს „ბ. გ. ქ“, რ-ის 100% ეკუთვნის სახელმწ. ორგანოს – აჭარის არ ფინანს. და ეკონ. სამინისტროს. 2016 საწარმო გადახდისუუნარო გახდა და გაკოტრდა.

მ. ჯიბუტი